სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №136

ქ. თბილისი 9 ოქტომბერი 2018 წ.

„2018 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 13 ივლისის N99 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N1281515, 05.10.2018) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „2018 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 13 ივლისის N99 ბრძანებაში და ბრძანების დანართი ერთით დამტკიცებული კონკურსის პირობების:

ა) მე-2 მუხლის, მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. კონკურსზე წარმოდგენილი პროექტის ძირითადი პერსონალის მინიმუმ ერთ წევრს უნდა ჰქონდეს ბიზნეს საქმიანობის გამოცდილება და მჭიდრო კავშირები ბიზნეს სექტორთან. აღნიშნული უნდა დასტურდებოდეს მის პროფესიულ ბიოგრაფიაში (CV) მოყვანილი მონაცემებით.“

ბ) მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საგრანტო კონკურსის მეორე ეტაპზე პროექტის რეგისტრაციისათვის აუცილებელია:
ა) პროექტის სრული ვერსიის ელექტრონული რეგისტრაცია გრანტების მართვის ერთიან სისტემაში - GMUS-ში (ბმული: http://gmus.rustaveli.org.ge) 2018 წლის 10 ოქტომბრიდან - 28 ოქტომბრის 16:00 საათამდე;

ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია 2018 წლის 29 ოქტომბრის 16:00 საათამდე."

გ) მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კონკურსის განრიგი და ვადები:
ა) პირველი ეტაპი - საპროექტო განაცხადის კონცეფციის წარდგენა
ა.ა. 2018 წლის 13 ივლისი – კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით;
ა.ბ. 2018 წლის 24 ივლისი, 26 ივლისი, 7 აგვისტო – ჯგუფური კონსულტაციები;
ა.გ. 2018 წლის 14 აგვისტო – შეკითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა;
ა.დ. 2018 წლის 13 ივლისიდან 20 აგვისტოს 16:00 სთ-მდე – პროექტების კონცეფციის ელექტრონული რეგისტრაცია საგრანტო კონკურსის პირველ ეტაპზე;
ა.ე. 2018 წლის 21 აგვისტო 16:00 სთ-მდე – ფონდის კანცელარიაში კონკურსის პირველ ეტაპზე კონცეფციის მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენის ბოლო ვადა;
ა.ვ. 2018 წლის ოქტომბერი – კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების გამოქვეყნება - ინფორმაცია საგრანტო კონკურსის მეორე ეტაპზე გადასული პროექტის კონცეფციების შესახებ;
ბ) მეორე ეტაპი - პროექტის წარდგენა
ბ.ა. 2018 წლის 12 და 18 ოქტომბერი – ჯგუფური კონსულტაციები;
ბ.ბ. 2018 წლის 22 ოქტომბერი - შეკითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა;
ბ.გ. 2018 წლის 10 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრის 16:00 სთ-მდე – მეორე ეტაპზე გასული პროექტის სრული ვერსიის ელექტრონული რეგისტრაცია GMUS-ში;
ბ.დ. 2018 წლის 29 ოქტომბრის 16:00 სთ-მდე - ფონდის კანცელარიაში კონკურსის მეორე ეტაპზე სრული პროექტის მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენის ბოლო ვადა;
ბ.ე. 2018 წლის ნოემბერი - კონკურსის მეორე ეტაპის შუალედური შედეგების გამოქვეყნება - ინფორმაცია საგრანტო კონკურსის მეორე ეტაპზე საგრანტო კონკურსიდან მოხსნილი პროექტების შესახებ;
ბ.ვ. 2018 წლის ნოემბერი - კონკურსის მეორე ეტაპზე პირობების დაცვით წარმოდგენილი სრული პროექტების შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტების/ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის მიერ;
ბ.ზ. 2018 წლის ნოემბერი – კონკურსის მეორე ეტაპის შედეგების გამოქვეყნება და მესამე ეტაპზე გადასული პროექტების გამოვლენა;
გ) მესამე ეტაპი - პროექტის პრეზენტაცია კომისიის წინაშე
გ.ა. 2018 წლის დეკემბერი – პროექტების პრეზენტაცია კომისიის წინაშე;
გ.ბ. 2018 წლის დეკემბერი - კონკურსის მესამე ეტაპის შედეგების გამოქვეყნება დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან ან/და ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ისგან მიღებული შეფასებებისა და კომისიისაგან მიღებული შეფასებების შეჯამების საფუძველზე, სამი რანჟირებული სიის შედგენა პროექტების კატეგორიების შესაბამისად და დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გამოვლენა;
გ.გ. 2018 წლის დეკემბერი – დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების საბოლოო სიის დამტკიცება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ და კონკურსის შედეგების გამოქვეყნება;
გ.დ. 2018 წლის დეკემბერი – საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გბისონია